საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ლევან დევდარიანის III შესახვევი N29 .
ს.კ. 01.81.08.276.606
საამქრო-სტამბის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

დამკვეთი	შ.პ.ს. „ვესტა“
ექსპერტები	ზვიადი პაპუაშვილი, დავით გველესიანი
ექსპერტიზის თარიღი	**20.06.2025**

დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.

- არქიტექტურული პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალის ჩამონათვალი:

1. განმარტებითი ბარათი;
2. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
3. პირობითი აღნიშვნები;
4. სიტუაციური გეგმა;
5. დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთის გეგმა;
6. დასაგეგმარებელი შენობის ყველა ტიპიური სართულის გეგმა *(არქიტექტურული ნაწილი)*;
7. დასაგეგმარებელი შენობის ფასადები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
8. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
9. დასაგეგმარებელი შენობის ყველა ტიპიური სართულის გეგმა *(დაკავებულობის და გასასვლელი საშუალებების ნაწილი)*;
10. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილი *(დაკავებულობის და გასასვლელი საშუალებების ნაწილი)*;
11. დასაგეგმარებელი შენობის ყველა ტიპიური სართულის გეგმა *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
12. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილი *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;

დასკვნის სარჩევი:

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება ---------- 1

შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 2

კონსტრუქციის ტიპის შეფასება ---------- 3

ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება ---------- 4

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება ---------- 5

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება ---------- 6

გასასვლელი საშუალებების შეფასება ---------- 7

მისაწვდომობის შეფასება ---------- 8

შიგა გარემოს შეფასება ---------- 9

გარე კედლების შეფასება ---------- 10

სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება ---------- 11

წყალსადენი სისტემების შეფასება ---------- 12

ლიფტის შეფასება ---------- 13

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ლევან დევდარიანის III შესახვევის N29, #01.81.08.276.606 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ N:6843227 ბრძანების საფუძველზე გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

საპროექტო მიწის ნაკვეთს აღმოსავლეთ მხარეს ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე. დასაგეგმარებელ ნაკვეთთან სატრანსპორტო მიმოსვლა ხორციელდება აღნიშნული გზის მხრიდან. ნაკვეთს დანარჩენი სამი მხიდან ესაზღვრება კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორია.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებულია საამქრო-სტამბის შენობა ნაგებობის მშენებლობა.

დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთი ხასიათდება დაბალი რელიეფურობით. დასაგეგმარებელი შენობისათვის მიწის დონე განისაზღვრა ტექნიკურ რეგლამენტზე დაყრდნობით და წინამდებარე დასკვნაში აღნიშნულის შესაბამისად დაიყო მიწის დონის ქვედა და მიწის დონის ზედა სართულები.

შენობის ფუნქციური დანიშნულებები სართულებზე გადანაწილებულია შემდეგი სახით:

- მიწის დონის ზედა I სართული (0.00 ნიშნულზე) - საამქრო-სტამბა.
- მიწის დონის ზედა II სართული (+3,50 ნიშნულზე) - საწყობი და ადმინისტრაციული ოთახები.
- მიწის დონის ზედა III სართული (+7,00 ნიშნულზე) - საწყობი.

დასაგეგმარებელი შენობის ყველა ნაწილი მისაწვდომია შშმ პირთათვის. მისაწვდომობასთან დაკავშირებული ვრცელი ანალიზი იხილეთ წინამდებარე დასკვნის მე-8 თავში.

საპროექტო შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებით:

- მიწის დონის ზედა I სართული (0.00 ნიშნულზე) - სახანძრო მილდგარების სისტემა; კვამლაღმომჩენები; სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემა; ხელის ცეცხლმაქრები.
- მიწის დონის ზედა II სართული (+3,50 ნიშნულზე) - სახანძრო მილდგარების სისტემა; სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემა; კვამლაღმომჩენები; ხელის ცეცხლმაქრები.
- მიწის დონის ზედა III სართული (+7,00 ნიშნულზე) - სახანძრო მილდგარების სისტემა; სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემა; კვამლაღმომჩენები; ხელის ცეცხლმაქრები.

საპროექტო შენობის კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია სულ მცირე 2 საათით, სხვადასხვა ანაწყობებთან მიმართებაში კი დაცულია ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები.

საპროექტო შენობის გარე კედლები ღერძებში 1-7 (სამხრეთი) მოეწყობა 20 სმ სისქის გაზობლოკით (Ytongi) ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან ბეტონის წვრილი სამშენებლო ბლოკით სისქით 20 სმ, ფასადები შეილესება და შეიღებება. რაც შეეხება სახურავს, მოეწყობა ბრტყელი გადახურვა.

1	გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- **შენობის თითოეული ნაწილი დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით დაკლასიფიცირებულია 302 ქვეთავის შესაბამისად.**
- **შენობაში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:**
  - **საქმიანი ჯგუფი სქ** (სტამბა +0.00 ნიშნულზე და ადმინისტრაცია +3,50 ნიშნულზე) - შეესაბამება 310.1 ქვეთავს, რომლის თანახმად შენობის ან ნაგებობის ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად.
  - **საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1** (საწყობი + 3.50; +7,00 ნიშნულებზე) - შეესაბამება 311.2 ქვეთავს, რომლის თანახმად განსაზღვრულია საწყობად გამოყენებული შენობები, რომლებიც არ კლასიფიცირდება, როგორც სწ-2 ჯგუფი.
- **თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:**
  - სტამბისათვის ---------- 9,3 მთლიანი;
  - ადმინისტრაციისათვის---------- 9,3 მთლიანი;
  - საწყობისათვის ---------- 46,5 მთლიანი;

- ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული.

2 შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:

- საპროექტო შენობის მიწის დონის ზედა და ქვედა სართულების, ასევე შენობის სიმაღლის განსასაზღვრად დადგინდა მიწის დონე, რომელიც უტოლდება 557,70 აბსოლუტურ ნიშნულს. მიწის დონე გამოთვლილ იქნა შენობასა და მიწის ნაკვეთის საზღვარს შორის 1,8 მ-მდე ფარგლებში მოქცეული ფართობის ყველაზე დაბალი ნიშნულების მიხედვით.
- საპროექტო შენობის სიმაღლე მიწის დონიდან განსაზღვრულია 11,3 მეტრით და შენობაში განთავსებულია მიწის დონის ზედა 3 (სამი) სართული.
- სართულებზე დაკავებულობის ჯგუფები გადანაწილებულია შემდეგი სახით:
  - მიწის დონის ზედა I სართული ----------ჯგუფი სქ; (382.0 მ²).
  - მიწის დონის ზედა II სართული ----------ჯგუფი სწ-1 (314.0 მ²) ჯგუფი სქ (74.3 მ²).
  - მიწის დონის ზედა III სართული ----------ჯგუფი სწ-1 (390.0 მ²).

  - საპროექტო შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს, თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის მიხედვით.

ცხრილი 503

შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი[ა,ბ]

შენობის სიმაღლის შეზღუდვები ნაჩვენებია მ-ში მიწის დონის ზემოთ. სართულიანობის შეზღუდვები ნაჩვენებია სართულებით მიწის დონის ზემოთ.

ფართობის შეზღუდვები ნაჩვენებია მ²-ში „შენობის ფართობი“ განსაზღვრების მიხედვით, თითოეულ სართულზე

		კონსტრუქციის ტიპი								
		ტიპი I		ტიპი II		ტიპი III		ტიპი IV	ტიპი V	
		A	B	A	B	A	B	მასიური ხის მასალა	A	B
	სიმაღლე (მ)	შეუზღუდავი	48.8	19.8	16.8	19.8	16.8	19.8	15.2	12.2
ჯგუფი		სართულები ფართობი მ²-ში, თითოეულ სართულზე								
სქ	სართული	შეუზღუდავი	11	5	4	5	4	5	3	2
	ფართობი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	3480	2140	2650	1770	3340	1670	840
სწ-1	სართული	შეუზღუდავი	11	4	3	3	3	4	3	1
	ფართობი	შეუზღუდავი	4460	2420	1630	2420	1630	2370	1300	840

ა. 503-ე ცხრილის საერთო გამონაკლისის შესახებ იხილეთ შემდეგი ქვეთავი:

1. ქვეთავი504.2, დასაშვები სიმაღლის მატება ავტოსაშხეფი სისტემის დაყენების გამო.
2. ქვეთავი 506.2, დასაშვები ფართობის მატება ქუჩაზე გამომავალი ფრონტიდან (საზოგადოებრივი საზღვრიდან) გამომდინარე.
3. ქვეთავი 506.3, დასაშვები ფართობის მატება ავტოსაშხეფი სისტემის დაყენების გამო.
4. ქვეთავი 507, შეუზღუდავი ფართობის მქონე შენობები.

ბ. მე-5 თავში დასაშვები სიმაღლისა და ფართობებისათვის განსაზღვრული სპეციფიკური გამონაკლისები იხილეთ მე-4 თაცში.

3 კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი **(V-A)** შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფების ფართობის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული. VA ტიპის კონსტრუქციული ელემენტებისადმი მოთხოვნები უნდა განისაზღვროს 601 ქვეთავის შესაბამისად. არქიტექტურულ პროექტის ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილში ასახულია ასეთი კონსტრუქციული ელემენტების მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხისხებთან მიმართებაში შესაბამისობა, რომელიც შესაძლებელია დაზუსტდეს კონსტრქუციულ პროექტში.

- შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, მზიდი სვეტების, იატაკის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების, სახურავის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის მინიმალური ხარისხი შეესაბამება 601-ე ცხრილის მოთხოვნებს და შენობის ასეთი ელემენტების, კომპონენტების და ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები განსაზღვრული 721 ქვეთავის მიხედვით.

  ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ---------- 1 სთ.
  შიგა მზიდი კედლები ----------

  იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 1 სთ.

  სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 1 სთ.

- რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, პროექტით დაცულია ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება 602 ცხრილის და 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნებს.

ცხრილი 601
ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის (სთ)

შენობის ელემენტები	ტიპი I		ტიპი II		ტიპი III		ტიპი IV	ტიპი V	
	A	B	A[დ]	B	A[დ]	B	მასიური ხე	A[დ]	B
ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო[ზ]	3[ა]	2[ა]	1	0	1	0	მასიური ხე	1	0
მზიდი კედლები გარე[ა,ზ] შიგა	3 3[ა]	2 2[ა]	1 1	0 0	2 1	2 0	2 1/მასიური ხე	1 1	0 0
არამზიდი კედლები და ტიხრები გარე	იხ. ცხრილი 602								
არამზიდი კედლები და ტიხრები შიგა[ე]	0	0	0	0	0	0	იხ. ცხრილი 602.4.6	0	0
იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (იხ. ქვეთავი 202)	2	2	1	0	1	0	მასიური ხე	1	0
სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (იხ. ქვეთავი 202)	1½[ბ]	1[ბ,გ]	1[ბ,გ]	0[გ]	1[ბ,გ]	0	მასიური ხე	1[ბ,გ]	0

ა. სახურავის საყრდენები: სტრუქტურული ჩარჩოსა და მზიდი კედლების ცეცხლისაგან დაცვის ხარისხი შეიძლება შემცირდეს 1 სთ-ით, თუ მხოლოდ სახურავს ზიდავს.

ბ. **სმ**-1, **დსშ**, **სვ** და **სწ**-1 ჯგუფის დაკავებულობების გარდა, წაგებობის ნაწილებს, სახურავის ჩარჩოს და ფენილს არ სჭირდება ცეცხლმედეგობის ხარისხი, თუ სახურავის კონსტრუქციის ყოველი ნაწილი უშუალოდ მის ქვეშ მდებარე იატაკიდან 6,0 მ-ით ან მეტით ზემოთაა. ასეთი დაუცველი ელემენტებისთვის შეიძლება გამოიყენებოდეს ცეცხლმედეგობისათვის დამუშავებული ხის

4 ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება:

- საპროექტო მიწის ნაკვეთზე მოწყობილია ღია ავტოსადგომი.
- ავტოსადგომი კლასიფიცირებულია როგორც საზოგადოებრივი დანიშნულების ავტოსადგომი, თანახმად 406.4 ქვეთავისა.
- ავტოსადგომი სივრცე განთავსებულია იმავე მიწის ნაკვეთზე, სადაც ხდება მათი გამოყენება, რაც შეესაბამება 406.9.2.3 ქვეთავს.
- ავტოსადგომზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომები შეესაბამება 406.9.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ სტანდარტული ავტოსადგომის სიგანე უტოლდება 2.5 მეტრს, ხოლო სიგრძე 5.5 მეტრს.
- საავტომობილო გზის სიგანე აკმაყოფილებს 406.9.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს და განსაზღვრულია სულ მცირე 3.5 მეტრის სახით.
- საავტომობილო გზის მოხვევის რადიუსები აკმაყოფილებს 406.9.4.2-ე ქვეთავის მოთხოვნას და უტოლდება 3.5 მეტრს.
- საავტომობილო გზის და პანდუსის დახრის პროცენტი აკმაყოფილებს 406.9.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ავტომობილისთვის განკუთვნილ ადგილს აქვს ინდივიდუალური და მარტივი მისადგომი, რაც შეესაბამება 406.9.4.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- ავტოსადგომზე ავტომობილებისთვის განკუთვნილი ადგილი დახაზულია, თანახმად 406.9.4.6 პუნქტისა.
- ავტოსადგომის დონეზე შშმ პირთათვის გათვალისწინებული ავტომობილის სადგომის რაოდენობა შეესაბამება 1106.1 ცხრილს, ხოლო გაბარიტული ზომები „მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებს“.

5 ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- გარე კედლებში არსებული ღიობები შვეულად გამიჯნულია 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად, შვეული გამიჯვნა უზრუნველყოფილია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის 90 სმ-ზე მეტი სიმაღლის გარე კედლებით.
- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.
- შენობას გააჩნია პარაპეტი, რომლის სიმაღლე მეტია 0,76 მეტრზე და რომლის ცეცხლმედეგობაც უტოლდება მის ქვეშ მდებარე გარე კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხს, რაც აკმაყოფილებს 705.11 ქვეთავის მოთხოვნას.
- შახტებისაგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.1, 713.2 და 713.4 ქვეთავების მოთხოვნას.
- დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნა აკმაყოფილებს 508.4 ცხრილის მოთხოვნებს.
- თარაზულ ანაწყობში არსებული ყველა შვეული ღიობი მთლიანად შახტის შემომზღუდავშია მოქცეული, რაც შეესაბამება 712.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- კარის ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად.

ცხრილი 508.4
დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნა (საათები)

დაკავებულობა	თვ, სგ		დწ-1, დწ-3, დწ-4		დწ-2		სც[ა]		სმ-2, სწ-2[ბ], დს		სქ, ს მ-1, სვ, სწ-1		დსშ-1		დსშ-2		დსშ-3, დსშ-4,		დსშ-5	
	ს	სგ	ს	სგ	ს	სგ	ს	სგ	ს	სგ	ს	სგ	ს	სგ	ს	სგ	ს	სგ	ს	სგ
თვ[ბ], სგ	გ	გ	1	2	2	დ	1	2	გ	1	1	2	დ	დ	3	4	2	3	2	დ
დწ-1, დწ-3, დწ-4	—	—	გ	გ	2	დ	1	დ	1	2	1	2	დ	დ	3	დ	2	დ	2	დ
დწ-2	—	—	—	—	გ	გ	2	დ	2	დ	2	დ	დ	დ	3	დ	2	დ	2	დ
სც	—	—	—	—	—	—	გ	გ	1[ბ]	2[ბ]	1	2	დ	დ	3	დ	2	დ	2	დ
სმ-2, სწ-2[ბ], დს	—	—	—	—	—	—	—	—	გ	გ	1	2	დ	დ	3	4	2	3	2	დ
სქ, სმ-1, სვ, სწ-1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	გ	გ	დ	დ	2	3	1	2	1	დ
დსშ-1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	გ	დ	დ	დ	დ	დ	დ	დ
დსშ-2	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	გ	დ	1	დ	1	დ
დსშ-3, დსშ-4,	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1[დ]	დ	1	დ
დსშ-5	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	გ	დ

ს = შენობები, რომლებიც მთლიანადაა აღჭურვილი 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემით.

სგ = შენობები, რომლებიც არაა მთლიანად აღჭურვილი 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემით.

გ = გამიჯვნა საჭირო არ არის.

დ = დაუშვებელია.

ა. **დსშ**-5 ჯგუფის დაკავებულობებისთვის იხ. ქვეთავი 903.2.5.2.

ბ. ფართობებზე, რომლებიც გამოყენებულია მხოლოდ კერძო ან გასართობი ავტომობილებისათვის, დასაშვებია გამმიჯნავის ცეცხლმედეგობის ხარისხის შემცირება 1 სთ-ით.

გ. იხ. ქვეთავი 406.3.4.

დ. კომერციული დანიშნულების სამზარეულოები არ უნდა გაიმიჯნოს რესტორნის იმ ფართობებისგან, რომელსაც ისინი ემსახურებიან.

ე. ერთნაირად კლასიფიცირებული დაკავებულობების გამიჯვნა აუცილებელი არ არის.

ვ. **დსშ**-5 დაკავებულობებისათვის იხ. ქვეთავი 415.8.2.2.

6	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

ავტოსაშხეფი სისტემა:

- თანახმად 903.2.9 ქვეთავისა, საშხეფი სისტემის ვალდებულებისაგან თავისუფალია **სწ-1** ჯგუფის შენობა, რომლის სასაწყობო ჯგუფის დაკავებულობის ფართობი არ აღემატება 1 200 მ^2 -ს, არ მდებარეობს სამ სართულზე მაღლა, ასევე არ გამოიყენება სავაჭრო სატვირთო მანქანების, ავტბუსების ან რბილი გადაკრული ავეჯის ან მატრასების შესანახად.
- ასევე დაკმაყოფილებულია 903.2.11 ქვეთავის მოთხოვნა, მიწის დონის ზედა სართულები უზრუნველყოფილია შესაბამისი სახის ღიობებით.

სახანძრო მილდგარების სისტემა:

- 905.3.1 ქვეთავის თანახმად III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მეტრით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან. მიუხედავად იმისა რომ დადგენილების შესაბამისად შენობის შენობა არ ჯდება აღნიშნულ პარამეტრში, II კლასის მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია შენობაში.

ხელის ცეცხლმაქრები:

- ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია სქ და სწ-1 ჯგუფის დაკავებულობებში, რაც შეესაბამება, 906 ქვეთავის მოთხოვნას.
- ***<u>ხელის ცეცხლმაქრების განთავსების არეალები პირობითად ასახულია ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილში</u>***

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:

- სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, **რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას**, 907.2.2 შესაბამისად აუცილებელი არაა **სქ** ჯგუფის დაკავებულობისათვის, რადგან დამკავებელთა საერთო რაოდენობა არ აღემატება 500, ხოლო მიწის დონის ზედა მეორე სართულზე 100 დამკავებელს.
- იმის გათვალისწინებით, რომ +3,50 და +7,00 ნიშნულებზე განთავსებულია სწ-1 დაკავებულობა სადაც ხდება პროდუქციის თარეოებზე განთავსება/შენახვა შენობა აღჭურვილია **კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემით,** სისტემა უნდა გააქტიურდეს კვამლის აღმოჩენისთანავე.

კვამლის საკონტროლო სისტემები:

- შიგა გასასვლელის გზა-კიბე ნიავდება ბუნებრივად გარე კედელში არსებული ღიობებით რომელთა ფართობი აღემატება შემოზრღუდული სივრცის 4%-ს.
- შენობის მეორე და მესამე მიწისზედა სართულებდან მეორე გასასვლელად გამოყენებულია გარე გასასვლელის გზა კიბე.
- შენობა აღჭურვილია მექანიკური განიავების სისტემით.

სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:

- საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლით.
- სახანძრო მისაერთებლები განთავსებულია წინა ეზოში სახანძრო მანქანის მისადგომის მხრიდან და ადვილად დასანახი და ამოსაცნობია, რაც აკმაყოფილებს 912.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაერთებელთან დაცულია 0,8მ.X0.9მ. და 2 მეტრის სიმაღლის თავისუფალი სივრცე, რაც შეესაბამება 912.3.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- ***სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლის განთავსების არეალი პირობითად ასახულია ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილში***

7 გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- თანახმად 1021.2(2) ცხრილისა, აუცილებელია სქ და სწ-1 ჯგუფების თითოეულ სართულს ემსახურებოდეს ორი გასასვლელი.
- გზა-კიბის გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 7,6 მმ-ია თითო დამკავებელზე. ასეთი სახით გამოთვლილი კიბის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე.
- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (დერეფნის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი დერეფნის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1018.2 ცხრილით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0,9 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და დერეფნის თავისუფალი სიგანე უტოლდება სულ მცირე 1,1 მეტრს.

  გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (კარის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი კარის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1008.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.82 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და საპროექტო შენობის მომსახურე თითოეული გასასვლელი საშუალების კარის თავისუფალი სიგანე სულ მცირე 0,84 მეტრია.
- გზა-კიბის საზღვრებში გასავლელის თავისუფალი სიმაღლე არ არის 2,05 მეტრზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1009.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია 28 სმ-ით, ხოლო ამაღლება 16 სმ-ით. ამასთანავე საფეხურების ერთგვაროვნება დაცულია, თანახმად 1009.7.4 ქვეთავისა. ასევე დაკმაყოფილებულია საფეხურების ნაშვერების ზომა და მათი ერთგვაროვნება, რაც განსაზღვრულია 2 სმ-ით, რაც შეესაბამება 1009.7.5.1 და 1009.7.5.2 ქვეთავების მოთხოვნებს.

- გზა-კიბის ბაქნები არ არის გზა-კიბის მარშის სიგანეზე ნაკლები და უტოლდება სულ მცირე 1.10 მეტრს. ასევე კიბის მიმართულებით გაღებული კარი, კიბის ბაქანს არ ამცირებს აუცილებელი სიგანის ნახევარზე მეტად. რაც აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.
- იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მ-ს, თანახმად 1009.10 ქვეთავისა.
- კიბის მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 ქვეთავის მოთხოვნებს.
- კიბის სახელურები აკმაყოფილებს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.
- შენობის სახურავზე მიდგომა არ ხორციელდება გზა-კიბის საშუალებით, თანახმად 1009.16 ქვეთავისა რადგან შენობა არ არის ოთხზე მეტ სართულიანი.
- გასასვლელის ყველა კარი იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით, რაც შეესაბამება 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, ყველა სართულზე აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.
- ყველა იმ ფართში სადაც ავეჯი ან შესაბამისი ინვენტარია განთავსებული, გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 1017.3 და 1017.5 ქვეთავების მოთხოვნებს.
- თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასველლის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.
- ***<u>გასასვლელის კომპონენტები და შესაბამისი პირობითი აღნიშვნები ასახულია არქიტექტურულ პროექტში.</u>***

ცხრილი 1016.2
გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილი[ა]

დაკავებულობა	საშხეფი სისტემის გარეშე (მ)	საშხეფი სისტემით (მ)
თვ, სგ, სმ-1, სვ, სც, სწ-1	60	75[ბ]
დწ-1	დაუშვებელია	75[ბ]
სქ	60	90[ბ]
სმ-2, სწ-2, დს	90	120[ბ]
დსშ-1	დაუშვებელია	23[დ]
დსშ -2	დაუშვებელია	30[დ]
დსშ-3	დაუშვებელია	45[დ]
დსშ-4	დაუშვებელია	45[დ]
დსშ-5	დაუშვებელია	53 [დ]
დწ-2, დწ-3, დწ-4	დაუშვებელია	60[ბ]

ა. გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილისადმი მოთხოვნების მოდიფიკაციები იხილეთ შემდეგ ქვეთავებში:

ქვეთავი 402.8: მანძილის შეზღუდვა მოლებში;

ქვეთავი 404.9: მანძილის შეზღუდვა ატრიუმის სივრცში;

ქვეთავი 407.4: მანძილის შეზღუდვა **დწ**-2 ჯგუფში;

ქვეთავი 408.6.1 და 408.8.1: მანძილის შეზღუდვა **დწ**-3 ჯგუფში;

ქვეთავი 411.4: მანძილის შეზღუდვა სპეციალურ გასართობ შენობებში;

ქვეთავი 1015.4: მანძილის შეზღუდვა გამაციებელი მანქანა-დანადგარების ოთახებში;

ქვეთავი 1015.5: მანძილის შეზღუდვა მაცივარ-ოთახებსა და სივრცეებში;

ქვეთავი 1021.2: შენობები ერთი გასასვლელით;

ქვეთავი 1028.7: გამკაცრებული შეზღუდვა თავშეყრის დასაჯდომებიან ფართობზე;

ქვეთავი 1028.7: გამკაცრებული შეზღუდვა თავშეყრის გარედასაჯდომებიან ფართობზე;

ქვეთავი 1803.4: დროებითი ნაგებობები;

ქვეთავი 1804.9: ფეხით მოსიარულეთა სავალი გზები;

ბ. 903.3.1.1 ან 903.3.1.2 ქვეთავების შესაბამისად ავტოსაშხეფი სისტემებით აღჭურვილი შენობები. იხ. ქვეთავი 903-ე დაკავებულობებისთვის, სადაც ნებადართულია 903.3.1.2 ქვეთავის შესაბამისი ავტოსაშხეფი სისტემები;

გ. 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემებით აღჭურვილი შენობები.

8 მისაწვდომობის შეფასება:

- თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია და მთელი საპროექტო შენობა მისაწვდომია.
- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრცეებიდან შენობის ყველა შესასვლელემდე და შენობის ყველა დაკავებულ დონეზე, თანახმად 1104 ქვეთავისა.
- თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკი. თუ მიმოსვლის ბილიკი შიგა სივრცეშია, მისაწვდომი სვლაგეზიც შიგა სივრცეში უნდა იყოს. თუ მისაწვდომი სვლაგეზი მხოლოდ ერთია, ის არ უნდა კვეთდეს სამზარეულოებს, სათავს ოთახებს, დასასვენებელ ოთახებს, საკუჭნაოებსა და მსგავს სივრცეებს. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს.
- საპროექტო შენობის ყველა მთავარი შესასვლელი მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- ფართობებს ემსახურება მისაწვდომი ტუალეტის ოთახი, რაც შეესაბამება 1109.2 ქვეთავს.
- მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე ლიფტი მისაწვდომია შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს.
- შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- შშმ პირთათვის განკუთვნილ ლიფტთან შენობიდან გამოსასვლელი დონის გარდა ყველა სართულზე, მოწყობილია ორმხრივი კავშირის სისტემა, რაც შეესაბამება 1007.8 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო განთავსებულია მისაწვდომ ტუალეტებთან, შესაბამისი ამობურცული სიმბოლოებითა და ბრაილის წარწერით, რაც შეესაბამება 1110.1 ქვეთავს.

9 შიგა გარემოს შეფასება:

- ფართობები ნიავდება მექანიკურად და ბუნებრივად ფანჯრებისა და კარების საშუალებით და გარე გასაღები ღიობების ჯამური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში აღემატება გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ს. ასეთი ბუნებრივი განიავების წყარო გადის საზოგადოებრივ სივრცეში და 1206 ქვეთავის შესაბამის ეზოში. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1203.4, 1203.4.1 და 1203.4.3 ქვეთავებს.
- რაც შეეხება ტუალეტის ოთახებს, ასეთი სივრცეები ნიავდება მექანიკურად, რაც შეესაბამება 1203.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- გასასვლელის საავარიო განათება მოწყობილია გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილში (გზა-კიბის თითოეული სართულის დონეზე, საერთო სარგებლობის დერეფნებში თითოეული სართულის დონეზე). ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1205.5 და 1006.1 ქვეთავების მოთხოვნებს.
- ბუნებრივი განიავების და განათების მიზნით მოწყობილი ღიობები გადის ეზოში, რომელიც იმავე საკუთრებაშია, რომელზეც დგას შენობა. ეზოს სიგანე აკმაყოფილებს 1206.2 ქვეთავის მოთხოვნას და აღემატება ამ შემთხვევისთვის სავალდებულო მინიმალურ 3,5 მეტრის მანძილს.
- თითოეული დაკავებული და გამოყენებადი სივრცის ჭერის სიმაღლე არ არის 2,3 მ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.2 ქვეთავს.

10 გარე კედლების შეფასება:

- გარე კედლის ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტი არ მოეთხოვებათ ბეტონით ან წყობით აგებულ კედლებს, თანახმად 1403.2 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისისა. საპროექტო შენობის გარე კედლები სამხრეთით (ღერძებში 1-7) წარმოადგენს გაზობლოკის ანაწყობს, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან ბეტონის ანაწყობის, შესაბამისად გარე კედლისათვის არაა სავალდებულო ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტის, მათ შორის 1404.2 ქვეთავის შესაბამისი წყალმედეგი ზღუდის მოწყობა.
- გარე კედლების ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 602 და 705.8.5 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით, რომლის შესაბამისად „გ-ა“ „1-7“ და „3-1“ ღერძებში განთავსებული გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 2 საათით, ხოლო „7-3“ და „ა-გ“ ღერძებში 0 საათით. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 1403.4 ქვეთავის მოთხოვნას.
- რაც შეეხება გარე კედლის საფრებს, შენობის ფასადები მოპირკეთდება დეკორატიული ლესვით რაც უზრუნველყოფს გარე კედლების ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დაცვას.
- რაც შეეხება ორთქლშემაკავებლებს, აღნიშნულის მოწყობა სავალდებულოა მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-4 (საზღვაო) კლიმატურ ზონებში. საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება სამი კლიმატური ზონა (1-ლი, მე-3, მე-7) და მხოლოდ ქვეყნის ჩრდილოეთის მაღალ მთიან რეგიონებშია სავალდებულოა შენობა-ნაგებობებში ორთქლშემაკავებლების მოწყობა. საპროექტო შენობაში ორთქლშემაკავებლების მოწყობა არაა სავალდებულო, თანახმად 1405.3 ქვეთავისა.
- რაც შეეხება ჰიდროიზოლაციას, იგი მოწყობილია გარე კედლისა და ფანჯრის ანაწყობების, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთის არეალებში, რაც აკმაყოფილებს 1405.4 ქვეთავის მოთხოვნას. ჰიდროიზოლაციის მოწყობის თაობაზე შესაბამისი მითითებები ასახულია არქიტექტურულ პროექტში, რაც სავალდებულოდ დასაცავია მშენებლობის პროცესში.
- ***<u>გარე კედლის დეტალები ასახულია არქიტექტურულ პროექტში.</u>***

ცხრილი 602

ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით[ა,ე]

ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი = X (მ)	კონსტრუქციის ტიპი	დსშ ჯგუფის დაკავებულობა[ვ]	სმ-1, სვ, სწ-1[ზ] ჯგუფის დაკავებულობა	თვ, სქ, სგ, სმ-2, დწ, სც, სწ-2[ზ], დს[ბ] ჯგუფების დაკავებულობა
X < 1,5[გ]	ყველა	3	2	1
1,5 ≤ X < 3	IA	3	2	1
	სხვა	2	1	1
3 ≤ X < 9	IA, IB	2	1	1[დ]
	IIB, VB	1	0	0
	სხვა	1	1	1[დ]
X ≥ 9	ყველა	0	0	0

ა. მზიდი გარე კედლები 601-ე ცხრილის ცეცხლმედეგობის ხარისხთან დაკავშირებულ მოთხოვნებსაც უნდა აკმაყოფილებდეს;

ბ. **დს** ჯგუფის დაკავებულობებისათვის არსებული სპეციალური მოთხოვნების შესახებ იხილეთ ქვეთავი 406.1.2;

გ. ცეცხლმედეგი კედლისათვის იხილეთ ქვეთავი 705.1.1;

დ. 406-ე ქვეთავის შესაბამის ღია ავტოსადგომ გარაჟებს არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი;

ე. გარე კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხი განისაზღვრება გარე კედელსა და იმ სართულს შორის არსებული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით, სადაც ეს კედელი მდებარეობს;

ვ. **დსშ** ჯგუფის დაკავებულობებისთვის არსებული სპეციალური მოთხოვნების შესახებ იხილეთ ქვეთავი 415.3;

ზ. **სწ** ჯგუფის დაკავებულობებისთვის არსებული სპეციალური მოთხოვნების შესახებ იხილეთ ქვეთავი 412.4.1.

ცხრილი 705.8
გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით

ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი (მეტრებში)	ღიობების დაცვის ხარისხი	დასაშვები ფართობი
0 და მეტი და 1.0-ზე ნაკლები[ბ,გ]	დაუცველი, საშხეფების გარეშე	დაუშვებელია
	დაუცველი, საშხეფებით	დაუშვებელია
	დაცული	დაუშვებელია
1.0 მ და მეტი და 1.5 მ-ზე ნაკლები[დ,ე]	დაუცველი, საშხეფების გარეშე	დაუშვებელია
	დაუცველი, საშხეფებით	15%
	დაცული	15%
1.5 მ და მეტი და 3.0 მ-ზე ნაკლები[ვ,ზ]	დაუცველი, საშხეფების გარეშე	10%
	დაუცველი, საშხეფებით	25%
	დაცული	25%
3.0 მ და მეტი და 4.5 მ-ზე ნაკლები[ვ,ზ]	დაუცველი, საშხეფების გარეშე	15%
	დაუცველი, საშხეფებით	45%
	დაცული	45%
4.5 მ და მეტი და 6.0 მ-ზე ნაკლები[ვ,ზ]	დაუცველი, საშხეფების გარეშე	25%
	დაუცველი, საშხეფებით	75%
	დაცული	75%
6.0 მ და მეტი და 7.5 მ-ზე ნაკლები[ვ,ზ]	დაუცველი, საშხეფების გარეშე	45%
	დაუცველი, საშხეფებით	შეუზღუდავია
	დაცული	შეუზღუდავია
7.5 მ და მეტი და 9.0 მ-ზე ნაკლები[ვ,ზ]	დაუცველი, საშხეფების გარეშე	70%
	დაუცველი, საშხეფებით	შეუზღუდავია
	დაცული	შეუზღუდავია
9.0 მ ან მეტი	დაუცველი, საშხეფების გარეშე	შეუზღუდავია
	დაუცველი, საშხეფებით	აუცილებელი არ არის
	დაცული	აუცილებელი არ არის

დაუცველი, საშხეფების გარეშე = დაუცველი ღიობები შენობებში, რომლებიც არაა აღჭურვილი 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისი ავტოსაშხეფი სისტემით.

დაუცველი, საშხეფებით = დაუცველი ღიობები შენობებში, რომლებიც მთლიანადაა აღჭურვილი 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისი ავტოსაშხეფი სისტემით.

დაცული = ღიობები, რომლებიც დაცულია ღიობის დამცავი ანაწყობებით, 706.6.1 ქვეთავის შესაბამისად.

ა. მითითებული მნიშვნელობები წარმოადგენს გარე კედლის ფართობის პროცენტს.

ბ. განსხვავებული სიმაღლეების მქონე შენობების ცეცხლმედეგი კედლების მიმართ არსებული მოთხოვნების შესახებ იხ. ქვეთავი 706.6.1.

გ. ერთსა და იმავე მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობების ცეცხლმედეგი კედლების ღიობებისთვის იხ. ქვეთავი 706.8.

11 სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება:

- ჰიდროიზოლაცია მოწყობილია კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, რაც შეესაბამება 1503.2.1 ქვეთავის მოთხოვნას ჰიდროიზოლაციის მოწყობის თაობაზე. შესაბამისი მითითებები ასახულია არქიტექტურულ პროექტში, რაც სავალდებულოდ დასაცავია მშენებლობის პროცესში.
- სახურავის წყალარინი სისტემა იყენებს 100 მმ დიამეტრის წყალსადენ მილებს, რაც შეესაბამება 1503.4 ქვეთავის მოთხოვნებს.
- სახურავის ბურულის კლასიფიკაცია უნდა განისაზღვროს B კლასის კატეგორიით. B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას.
- ***სახურავის დეტალები ასახულია არქიტექტურულ პროექტში.***

12 წყალსადენი სისტემების შეფასება:

- თითოეული სქესის დამკავებელთა რაოდენობის დასადგენად, დამკავებელთა საერთო რაოდენობა ორზე არის გაყოფილი, მოწყობილობების აუცილებელი რაოდენობის გამოსათვლელად, მოწყობილობების პროპორცია თითოეული მოწყობილობის ტიპისთვის თითოეული სქესის დამკავებელთა რაოდენობას მიესადაგება 1602.1 ცხრილის შესაბამისად. 1602.1 ცხრილის გამოყენებისას მიღებული წილადი რიცხვები კი მომდევნო მთელ რიცხვამდეა დამრგვალებული. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1602.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- სქ ჯგუფის დამკავებელთა რაოდენობა უტოლდება 49 დამკავებელს ხოლო სწ-1 დაკავებულობისა 15 დამკავებელს. თანახმად 1602.2 ქვეთავისა დამკავებელთა რაოდენობა გაყოფილია ორზე ფიქსირებული წყალსადენი მოწყობილობების მინიმალური რაოდენობის გამოსათვლელად. წყალსადენი სისტემების რაოდენობა შეესაბამება 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს. შენობაში განთავსებულია 5 უნიტაზი, 4 ხელსაბანი, 1 სამომსახურეო ნიჟარა და 1 წყლის დასალევი დისპენსერი.
- ღია ავტოსადგომი არ არის უზრუნველყოფილი ტუალეტის სივრცით, თუმცა აღნიშნული დასაშვებია 1602.3 ქვეთავის გამონაკლისით, ვინაიდან ავტოსადგომს არ ემსახურება მეთვალყურე.
- ტუალეტი უზრუნველყოფილია ნიშნებით, მათ შორის მისაწვდომი ნიშნებით, რაც შეესაბამება 1602.4 ქვეთავის მოთხოვნას.

13 ლიფტის შეფასება:

- საპროექტო დოკუმენტაციით დაკმაყოფილებულია 1701.5 ქვეთავის მოთხოვნა და შენობას ემსახურება ერთი ლიფტი.
- სამივე სართულზე ლიფტის გამოძახების სადგურთან სტანდარტული დიზაინით შესრულებული გრაფიკული ნიშანია განთავსებული, რომელიც დამკავებლებს ამცნობს, რომ ხანძრისას უნდა გამოიყენონ გასასვლელის გზა-კიბე და არა ლიფტი. ნიშანზე წერია: „ხანძრის დროს ლიფტები არ მუშაობს. ისარგებლეთ კიბით“, რაც შეესაბამება 1702.3 ქვეთავს.
- ვინაიდან საპროექტო შენობა არ განეკუთვნება სახანძრო სამაშველო დანაყოფის მისადგომი დონიდან 37-მ ზე მაღლა მდებარე დაკავებულობის მქონე კატეგორიას, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ლიფტი არ არის გამოყენებული როგორც მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, ასევე როგორც სახანძრო სამაშველო დანაყოფისათვის მისადგომი და საევაკუაციო ლიფტი, მასზე არ ვრცელდება საგანგებო ვითარების მუშაობის რეჟიმისადმი მოთხოვნები, რაც განსაზღვრულია 1703 ქვეთავით.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ქ. თბილისში, ლევან დევდარიანის III შესახვევი N29, #01.81.08.276.606 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ტერიტორიაზე, საამქრო-სტამბის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნებთან.

აღნიშნული პროექტის დადებითი შეფასების შემდეგ (14.08.2024წ) საპროექტო დოკუმენტაციაში შევიდა გარკვეული ცვლილებები, რომელიც მოიცავს სამხრეთ ფასადზე (ღერძებში 1-7) გარე კედლების ბეტონის წვრილი სამშენებლო ბლოკის კონსტრუქციის ჩანაცვლებას 20სმ სისქის გაზობლოკით, აგრეთვე ლიფტის შახტის გაბარიტული ზომების გაზრდას, რაც არ აუარესებს უსაფრთხოების წესების მოთხოვნებით განსაზღვრულ პირობებს.

შესაბამისად, არქიტექტურულ პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტები:

ზვიადი პაპუაშვილი ----------

დავით გველესიანი ----------

თარიღი: 20.06.2025

დავით გველესიანი



მობილური: 514 000 468

ელ-ფოსტა: data.gvelesiani@gmail.com

ოჯახურიმდგომარეობა: დაოჯახებული

დაბადების თარიღი: 25 მაისი, 1990

განათლება

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო,
2011 წელი 05 აგვისტო არქიტექტურის ბაკალავრის ხარისხი.
2016 წლის 26 ნოემბერს არქიტექტურის მაგისტრის ხარისხი.

სამუშაო გამოცდილება

არქიტექტორი, შპს"ახალი ტექნოლოგიები 2009", ოქტომბერი/2009 - დეკემბერი/2010
მოვალეობები: არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა
შეწყვეტის მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, შპს "არქმშენი", იანვარი/2011 - მაისი/2015
მოვალეობები: არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა
შეწყვეტის მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, შპს "უტა", იანვარი/2011 - მაისი/2015
მოვალეობები: არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა
შეწყვეტის მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახური
, მაისი/2015- ივნისი/2019
მოვალეობები: არქიტექტურული პროექტების განხილვა-შემოწმება
შეწყვეტის მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, შპს"ჯავა", ივნისი/2019 - მიმდინარე
მოვალეობები: არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა

ენების ცოდნა

ქართული (წერა-კითხვა:ძალიან კარგი),
რუსული (წერა-კითხვა: კარგი),
ინგლისური(წერა -კითხვა: კარგი)

კომპიუტერული პროგრამები

Microsoft Office Word (კარგი), Microsoft Office Excel (კარგი), ArchiCAD (ძალიან კარგი), Adobe Photoshop (კარგი), Autocad (საბაზისო), Lumion (კარგი).

პროექტები და კონცეფციები

2020 წ. - აგვისტო ქალაქი რუსთავი VII მიკრო/რაიონი კორპუსი N 22 მიმდებარე/ტერიტორია დაგეგმარებული მრავალბინიანი საცხ. კომპექსის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - ივლისი ქალაქი რუსთავი თბილისის ქუჩის მიმდებარე/ტერიტორია ტერიტორია დაგეგმარებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - მაისი ქალაქი გურჯაანი ქოროღლიშვილის ქუჩა N 38 დაგეგმარებული ყურძნის მიმღები საამქროს პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - მარტი ქალაქი გურჯაანი ქოროღლიშვილის ქუჩა N 38 დაგეგმარებული ყურძნის მისაღები საამქროს პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - მარტი ქალაქი რუსთავი ლეონიძის ქუჩის მ/ტ დაგეგმარებული სამშენებლო მასალების საწყობი და სავაწრო პავილიონის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - თებერვალი ქალაქი თბილისი ლაზოს ქუჩა N 1ბ დაგეგმარებული ავეჯის საამქროს შენობა-ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - თებერვალი ქალაქი რუსთავი მესხიშვილის ქუჩა N 5 დაგეგმარებული ამბულატორიული კლინიკის შენობა-ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - იანვარი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. მსხალგორი დაგეგმარებული სამაცივრე-სასაწყობე შენობა-ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2019 წ. - სექტემბერი ქალაქი რუსთავი, XIV და XV მიკრო რაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმარებული ცეკვის სტუდიის შენობა- ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2019 წ. - აგვისტო ქალაქი თბილისი, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმარებული ორბინიანი საცხოვრებელი სხლის შენობა- ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.





საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის
სახელობის სახელმწიფო
სამხატვრო აკადემია

მაგისტრის დიპლომი

TSAA № 000049

არქიტექტურის
ფაკულტეტის 2016 წლის 28 ნოემბრის № 8
გადაწყვეტილებით დავით გველესიანს მიენიჭა
არქიტექტურის
მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

დეკანი Dean
ნოდარ ამაშუკელი / Nodar Amashukeli

რექტორი Rector
გიორგი გუგუშვილი / George Gugushvili

თბილისი TBILISI
20 / 12 / 2016
რიცხვი/ day თვე/ month წელი/ year

GEORGIA

Legal Entity of Public Law
APOLLON KUTATELADZE
TBILISI STATE
ACADEMY OF ART

MASTER'S DIPLOMA

TSAA № 000049

By Decision № 8 of 28 November 2016 of the Faculty of
Architecture
Davit Gvelesiani
was awarded the Degree of Master of
Architecture.



რეგისტრაციის REGISTRATION № 001 470

data.gvelesiani@gmail.com

სერტიფიკატი

№ 2021 - 004

გადაეცემა

დავით გველესიანს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

ვაჟა კუხიანიძე, კურსის ხელმძღვანელი

ზვიადი პაპუაშვილი



მობილური: 995593939737

ელ-ფოსტა: pazioni@yahoo.com

ოჯახურიმდგომარეობა: დასაოჯახებელი

დაბადების თარიღი: 1 მარტი, 1974

განათლება

არქიტექტურისა და მშენებლობის ინსტიტუტი, **საქართველო**,
1999 წელი 27ივლისი დაასრულა არქიტექტურის
ფაკულტეტის სრული კურსი, მიენიჭა არქიტექტორის წოდება

სამუშაო გამოცდილება

არქიტექტორი, **შპს"გარდაბანპროექტი"**,ოქტომბერი/2001 - თებ/2001
მოვალეობები: არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა
შეწყვეტის მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, **შპს "ხუროთმოძღვარი"**, იანვარი/2002 - ნოემბერი/2004
მოვალეობები: არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა
შეწყვეტის მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, **შპს "ლატერიტი"**, იანვარი/2005 - ნოემბერი/2007
მოვალეობები: არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა
შეწყვეტის მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, **შპს "ფრიზი"**, დეკემბერი/2007 - სექტემბერი/2009
მოვალეობები: არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა
შეწყვეტის მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, **შპს"გონიო+"**, ოქტომბერი/2009 - დეკემბერი/2010
მოვალეობები: არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა
შეწყვეტის მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, **შპს"არქპროექტმშენი"**, იანვარი/2011-თებერვალი/2012

<u>მოვალეობები:</u> არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა

<u>შეწყვეტის მიზეზი:</u> კერძო საპროექტო ფირმის ჩამოყალიბება

2012 წლის 21 მარტიდან დღემდე ვმუშაობ შპს „პაზიონი“-ს დირექტორის თანამდებობაზე

ასევე ვასრულებ არქიტექტურულ საპროექტო სამუშაოებს

<u>ენების ცოდნა</u>

ქართული (წერა-კითხვა:ძალიან კარგი), რუსული(წერა-კითხვა:კარგი), ინგლისური(წერა-კითხვა:საშუალო)

<u>კომპიუტერული პროგრამები</u>

Microsoft Office Word (კარგი), Microsoft Office Excel (კარგი), ArchiCAD (ძალიან კარგი), Adobe Photoshop(კარგი)

<u>პროექტები და კონცეფციები</u>

2020 წ. - აგვისტო ქალაქი რუსთავი VII მიკრო/რაიონი კორპუსი N 22 მიმდებარე/ტერიტორია დაგეგმარებული მრავალბინიანი საცხ. კომპექსის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - ივლისი ქალაქი რუსთავი თბილისის ქუჩის მიმდებარე/ტერიტორია ტერიტორია დაგეგმარებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - მაისი ქალაქი გურჯაანი ქოროღლიშვილის ქუჩა N 38 დაგეგმარებული ყურძნის მიმღები საამქროს პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - მარტი ქალაქი გურჯაანი ქოროღლიშვილის ქუჩა N 38 დაგეგმარებული ყურძნის მისაღები საამქროს პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - მარტი ქალაქი რუსთავი ლეონიძის ქუჩის მ/ტ დაგეგმარებული სამშენებლო მასალების საწყობი და სავაწრო პავილიონის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - თებერვალი ქალაქი თბილისი ლაზოს ქუჩა N 1ბ დაგეგმარებული ავეჯის საამქროს შენობა-ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - თებერვალი ქალაქი რუსთავი მესხიშვილის ქუჩა N 5 დაგეგმარებული ამბულატორიული კლინიკის შენობა-ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - იანვარი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. მსხალგორი დაგეგმარებული სამაცივრე-სასაწყობე შენობა-ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2019 წ. - სექტემბერი ქალაქი რუსთავი, XIV და XV მიკრო რაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმარებული ცეკვის სტუდიის შენობა- ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2019 წ. - აგვისტო ქალაქი თბილისი, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმარებული ორბინიანი საცხოვრებელი სხლის შენობა- ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2019 წ. - ივლისი ქალაქი რუსთავი, ტაშკენტის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმარებული კომერციული დანიშნულების შენობა- ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2019 წ. - მაისი ქალაქი რუსთავი, ლეონიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაგეგმარებული სამშენებლო მასალების სასაწყობე შენობა-ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2019 წ. - აპრილი ქალაქი რუსთავი, ლომოურის ქუჩა, N6 დაგეგმარებული საბავშვო ბაღის შენობა-ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2019 წ. - აპრილი ქალაქი გარდაბანი, სოფელ თელეთში დაგეგმარებული სასოფლო სამეურნეო პროდუქტების სასაწყობო შენობა-ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2019 წ. - მარტი ქალაქი გარდაბანი, სოფელ თელეთში დაგეგმარებული სასოფლო სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობის (პირუტყვის სადგომი) პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2019 წ. - მარტი ქალაქი რუსთავი, ბალანჩივაძის ქუჩა N9 დაგეგმარებული მრავალფუნქციური ობიექტის შენობა-ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2018 წ. - იანვარი ქ.რუსთავში შემოსასვლელის მ/ტ ავტოტრანსპორტის ტექ. ინსპექტირების ცენტრის შენობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2017 წ. - ნოემბერი მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. საიმერლოში საბავშვო ბაგა-ბაღის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2017 წ. – ივლისი ქალაქ რუსთავში ინდივიდუალური ოთხბინიანი საცხოვრებელი სახლი

2017 წ. – თებერვალი ქალაქ რუსთავში მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბონაკოს ფართის საოფისე ფართის რეკონსტრუქცია

2017 წ. – იანვარი ქალაქ თბილისსი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი AR1470170

2016 წ. – ოქტომბერი ქალაქ რუსთავში შპს „ჯი არ სი“-ს სამეწარმეო ობიექტის რეკონსტრუქცია

2016 წ. – მაისი ქალაქ რუსთავში რუსთაველის ქუჩაზე მრავალფუნქციური კომერციული ობიექტი

2016 წ. – მაისი ქალაქ რუსთავში ლომოურის ქუჩის მიმდებარედ კომერციული ობიექტი

2015 წ. – ივლისი ქალაქ რუსთავში ფალიაშვილის ქუჩაზე ინდ. საცხოვრებელი სახლი

2015 წ. – ივლისი ქალაქ გარდაბანში სოფ. სართიჭალა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი

2015 წ. – ივნისი ქალაქ მცხეთაში სოფ. მისაქციელში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი

2014 წ. – მაისში ქალაქ თბილისში გვქონდა კოვცეფცია მინი სავაჭრო მოლის მოწყობაზე AR1240410

2010 წ. – მაისი ქალაქ რუსთავში მოვამზადეთ წმინდა ბარბარეს სახელობის ბაზილიკის პროექტი ტერიტორიის სრული განაშენიანებით და დეკორაციებით

2004 – 2005 წ.წ. – მონაწილეობა მაქვს მიღებული, ქალაქ ფოთში დრამატული თეატრის საპროექტო წინადადების შესარჩევ კონკურსში გამარჯვებული ნამუშევრის თანაავტორად







GEORGIA

DIPLOMA AA № 0046000

This is to certify that Mr / Ms Zviad Papuashvili S. in 1999 completed a full academic course of the Faculty of Architecture of the Institute of Architecture and Civic Engineering majoring in Architecture

By resolution of the State Examination Board, dated July 27, 1999 Mr / Ms Zviad Papuashvili S. is conferred the present DIPLOMA and the qualification of Architect

Rector
Chairman of the State Examination Board
Dean

City Tbilisi — September 28, 1999

Registration № 0005 — Secretary E. Chkaidze

საქართველო

დიპლომი AA № 0046000

მიეცა ზვიად სამსონის ძე პაპუაშვილს

მასზედ, რომ მან 1999 წელს დაამთავრა არქიტექტურისა და მშენებლობის ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის სრული კურსი

არქიტექტურის

სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის „27" ივლისს გადაწყვეტილებით ზ. ს. პაპუაშვილს მიენიჭა

არქიტექტორის

კვალიფიკაცია.

რექტორი
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე
დეკანი

ქალაქი თბილისი — 28 სექტემბერი, 1999 წ.

სარეგისტრაციო № 0005 — მდივანი ე. ჩხაიძე

ქ. რუსთავი XXI მ/რ 4ა

pazioni@yahoo.com

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2021 - 005

გადაეცემა

ზვიად კაკუაშვილს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

ვაჟა კუხიანიძე, კურსის ხელმძღვანელი

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ლევან დევდარიანის III შესახვევი N29 .
ს.კ. 01.81.08.276.606

საწყობის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

დამკვეთი	შ.პ.ს. „ვესტა“
ექსპერტები	ზვიადი პაპუაშვილი, დავით გველესიანი
ექსპერტიზის თარიღი	**20.06.2025**

დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.

- არქიტექტურული პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალის ჩამონათვალი:

1. განმარტებითი ბარათი;
2. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
3. პირობითი აღნიშვნები;
4. სიტუაციური გეგმა;
5. დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთის გეგმა;
6. დასაგეგმარებელი შენობის ყველა ტიპიური სართულის გეგმა *(არქიტექტურული ნაწილი)*;
7. დასაგეგმარებელი შენობის ფასადები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
8. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
9. დასაგეგმარებელი შენობის ყველა ტიპიური სართულის გეგმა *(დაკავებულობის და გასასვლელი საშუალებების ნაწილი)*;
10. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილი *(დაკავებულობის და გასასვლელი საშუალებების ნაწილი)*;
11. დასაგეგმარებელი შენობის ყველა ტიპიური სართულის გეგმა *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
12. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილი *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;

დასკვნის სარჩევი:

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება ---------- 1

შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 2

კონსტრუქციის ტიპის შეფასება ---------- 3

ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება ---------- 4

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება ---------- 5

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება ---------- 6

გასასვლელი საშუალებების შეფასება ---------- 7

მისაწვდომობის შეფასება ---------- 8

შიგა გარემოს შეფასება ---------- 9

გარე კედლების შეფასება ---------- 10

სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება ---------- 11

წყალსადენი სისტემების შეფასება ---------- 12

ლიფტის შეფასება ---------- 13

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ლევან დევდარიანის III შესახვევის N29, #01.81.08.276.606 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ N:6843227 ბრძანების საფუძველზე გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

საპროექტო მიწის ნაკვეთს აღმოსავლეთ მხარეს ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე. დასაგეგმარებელ ნაკვეთთან სატრანსპორტო მიმოსვლა ხორციელდება აღნიშნული გზის მხრიდან. ნაკვეთს დანარჩენი სამი მხიდან ესაზღვრება კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორია.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებულია საწყობის შენობა-ნაგებობის მშენებლობა.

დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთი ხასიათდება დაბალი რელიეფურობით. დასაგეგმარებელი შენობისათვის მიწის დონე განისაზღვრა ტექნიკურ რეგლამენტზე დაყრდნობით და წინამდებარე დასკვნაში აღნიშნულის შესაბამისად დაიყო მიწის დონის ქვედა და მიწის დონის ზედა სართულები.

შენობის ფუნქციური დანიშნულებები სართულებზე გადანაწილებულია შემდეგი სახით:

- მიწის დონის ზედა I სართული (+1.05 ნიშნულზე) - საწყობი.

ასევე შენობის გარეთ, დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, 0.00 ნიშნულზე განთავსებულია გარე ღია ავტოსადგომი.

დასაგეგმარებელი შენობის ყველა ნაწილი მისაწვდომია შშმ პირთათვის. მისაწვდომობასთან დაკავშირებული ვრცელი ანალიზი იხილეთ წინამდებარე დასკვნის მე-8 თავში.

საპროექტო შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებით:

- მიწის დონის ზედა I სართული (0.00 ნიშნულზე) - სახანძრო მილდგარების სისტემა; კვამლაღმომჩენები; სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემა; ხელის ცეცხლმაქრები.

საპროექტო შენობის კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია სულ მცირე 2 საათით, სხვადასხვა ანაწყობებთან მიმართებაში კი დაცულია ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები.

საპროექტო შენობის სამხრეთის გარე კედლები შესრულდება 20 სმ სისქის გაზობლოკით (Ytongi), დანარჩენი გარე კედლებისათვის შერჩეულია ცეცხლმედეგი შიგთავსის (ქვაბამბა) სენდვიჩ პანელები. რაც შეეხება სახურავს, მოეწყობა ქანობიანი გადახურვა (სენდვიჩ პანელი).

1	გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- **შენობის თითოეული ნაწილი დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით დაკლასიფიცირებულია 302 ქვეთავის შესაბამისად.**
- **შენობაში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფი:**
  - **საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1** (საწყობი + 1.05 ნიშნულზე) - შეესაბამება 311.2 ქვეთავს, რომლის თანახმად განსაზღვრულია საწყობად გამოყენებული შენობები, რომლებიც არ კლასიფიცირდება, როგორც სწ-2 ჯგუფი.
- **თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:**
  - საწყობისათვის ---------- 46,5 მთლიანი;
- ზემოაღნიშნული ფაქტორის მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული.

2	შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:

- საპროექტო შენობის მიწის დონის ზედა და ქვედა სართულების, ასევე შენობის სიმაღლის განსასაზღვრად დადგინდა მიწის დონე, რომელიც უტოლდება 557,40 აბსოლუტურ ნიშნულს. მიწის დონე გამოთვლილ იქნა შენობასა და მიწის ნაკვეთის საზღვარს შორის 1,8 მ-მდე ფარგლებში მოქცეული ფართობის ყველაზე დაბალი ნიშნულების მიხედვით.
- საპროექტო შენობის სიმაღლე მიწის დონიდან განსაზღვრულია 7,00 მეტრით და შენობაში განთავსებულია მიწის დონის ზედა 1 (ერთი) სართული.
- სართულებზე დაკავებულობის ჯგუფები გადანაწილებულია შემდეგი სახით:
  - მიწის დონის ზედა I სართული ----------ჯგუფი სწ-1 (857,7 მ²).
  - საპროექტო შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს, თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის მიხედვით.

ცხრილი 503

შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი[ა,ბ]

შენობის სიმაღლის შეზღუდვები ნაჩვენებია მ-ში მიწის დონის ზემოთ. სართულიანობის შეზღუდვები ნაჩვენებია სართულებით მიწის დონის ზემოთ.

ფართობის შეზღუდვები ნაჩვენებია მ²-ში „შენობის ფართობი“ განსაზღვრების მიხედვით, თითოეულ სართულზე

		კონსტრუქციის ტიპი								
		ტიპი I		ტიპი II		ტიპი III		ტიპი IV	ტიპი V	
		A	B	A	B	A	B	მასიური ხის მასალა	A	B
	სიმაღლე (მ)	შეუზღუდავი	48.8	19.8	16.8	19.8	16.8	19.8	15.2	12.2
ჯგუფი		სართულები ფართობი მ²-ში, თითოეულ სართულზე								
სწ-1	სართული	შეუზღუდავი	11	4	3	3	3	4	3	1
	ფართობი	შეუზღუდავი	4460	2420	1630	2420	1630	2370	1300	840

ა. 503-ე ცხრილის საერთო გამონაკლისის შესახებ იხილეთ შემდეგი ქვეთავი:

1. ქვეთავი504.2, დასაშვები სიმაღლის მატება ავტოსაშხეფი სისტემის დაყენების გამო.
2. ქვეთავი 506.2, დასაშვები ფართობის მატება ქუჩაზე გამომავალი ფრონტიდან (საზოგადოებრივი საზღვრიდან) გამომდინარე.
3. ქვეთავი 506.3, დასაშვები ფართობის მატება ავტოსაშხეფი სისტემის დაყენების გამო.
4. ქვეთავი 507, შეუზღუდავი ფართობის მქონე შენობები.

ბ. მე-5 თავში დასაშვები სიმაღლისა და ფართობებისათვის განსაზღვრული სპეციფიკური გამონაკლისები იხილეთ მე-4 თაცში.

3 კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი **(V-A)** შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის ფართობის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული. VA ტიპის კონსტრუქციული ელემენტებისადმი მოთხოვნები უნდა განისაზღვროს 601 ქვეთავის შესაბამისად. არქიტექტურულ პროექტის ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილში ასახულია ასეთი კონსტრუქციული ელემენტების მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხისხებთან მიმართებაში შესაბამისობა, რომელიც შესაძლებელია დაზუსტდეს კონსტრქუციულ პროექტში.
- შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, მზიდი სვეტების, იატაკის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების, სახურავის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის მინიმალური ხარისხი შეესაბამება 601-ე ცხრილის მოთხოვნებს და შენობის ასეთი ელემენტების, კომპონენტების და ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები განსაზღვრული 721 ქვეთავის მიხედვით.

ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ---------- 1 სთ.
შიგა მზიდი კედლები ---------- 1 სთ.

იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 1 სთ.

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 1 სთ.

- რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, პროექტით დაცულია ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება 602 ცხრილის და 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნებს.

ცხრილი 601

ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის (სთ)

შენობის ელემენტები	ტიპი I		ტიპი II		ტიპი III		ტიპი IV	ტიპი V	
	A	B	A[დ]	B	A[დ]	B	მასიური ხე	A[დ]	B
ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო[ზ]	3[ა]	2[ა]	1	0	1	0	მასიური ხე	1	0
მზიდი კედლები გარე[ბ,ზ] შიგა	 3 3[ა]	 2 2[ა]	 1 1	 0 0	 2 1	 2 0	 2 1/მასიური ხე	 1 1	 0 0
არამზიდი კედლები და ტიხრები გარე	იხ. ცხრილი 602								
არამზიდი კედლები და ტიხრები შიგა[ე]	0	0	0	0	0	0	იხ. ცხრილი 602.4.6	0	0
იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი წაწილები (იხ. ქვეთავი 202)	2	2	1	0	1	0	მასიური ხე	1	0
სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი წაწილები (იხ. ქვეთავი 202)	1½[ბ]	1[ბ,გ]	1[ბ,გ]	0[გ]	1[ბ,გ]	0	მასიური ხე	1[ბ,გ]	0

ა. სახურავის საყრდენები: სტრუქტურული ჩარჩოსა და მზიდი კედლების ცეცხლისაგან დაცვის ხარისხი შეიძლება შემცირდეს 1 სთ-ით, თუ მხოლოდ სახურავს ზიდავს.

ბ. **სმ**-1, **დსშ**, **სვ** და **სწ**-1 ჯგუფის დაკავებულობების გარდა, წაგებობის წაწილებს, სახურავის ჩარჩოს და ფენილს არ სჭირდება ცეცხლმედეგობის ხარისხი, თუ სახურავის კონსტრუქციის ყოველი წაწილი უშუალოდ მის ქვეშ მდებარე იატაკიდან 6,0 მ-ით ან მეტით ზემოთაა. ასეთი დაუცველი ელემენტებისთვის შეიძლება გამოიყენებოდეს ცეცხლმედეგობისათვის დამუშავებული ხის

4 ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება:

- საპროექტო მიწის ნაკვეთზე მოწყობილია ღია ავტოსადგომი.
- ავტოსადგომი კლასიფიცირებულია როგორც საზოგადოებრივი დანიშნულების ავტოსადგომი, თანახმად 406.4 ქვეთავისა.
- ავტოსადგომი სივრცე განთავსებულია იმავე მიწის ნაკვეთზე, სადაც ხდება მათი გამოყენება, რაც შეესაბამება 406.9.2.3 ქვეთავს.
- ავტოსადგომზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომები შეესაბამება 406.9.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ სტანდარტული ავტოსადგომის სიგანე უტოლდება 2.5 მეტრს, ხოლო სიგრძე 5.5 მეტრს.
- საავტომობილო გზის სიგანე აკმაყოფილებს 406.9.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს და განსაზღვრულია სულ მცირე 3.5 მეტრის სახით.
- საავტომობილო გზის მოხვევის რადიუსები აკმაყოფილებს 406.9.4.2-ე ქვეთავის მოთხოვნას და უტოლდება 3.5 მეტრს.
- საავტომობილო გზის და პანდუსის დახრის პროცენტი აკმაყოფილებს 406.9.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ავტომობილისთვის განკუთვნილ ადგილს აქვს ინდივიდუალური და მარტივი მისადგომი, რაც შეესაბამება 406.9.4.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- ავტოსადგომზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილები დახაზულია, თანახმად 406.9.4.6 პუნქტისა.
- ავტოსადგომის დონეზე შშმ პირთათვის გათვალისწინებული ავტომობილის სადგომების რაოდენობა შეესაბამება 1106.1 ცხრილს, ხოლო გაბარიტული ზომები „მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებს“.

5 ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- გარე კედლებში არსებული ღიობები შვეულად არ ექცევა ერთმანეთის მაღლა, შესაბამისად უგულვებელყოფილია შვეულად გამიჯვნის მოთხოვნა 705.8.5 ქვეთავის შესაბამისად.
- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.
- 705.11 გამონაკლისი 3-ს შესაბამისად შენობის კედლები მთავრდება 2 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე სახურავის ანაწყობთან.
- შენობაში არაა მოწყობილი შახტები.
- შენობა მოიცავს მხოლოდ ერთ დაკავებულობის ჯგუფს შესაბამისად მოხსნილია დაკავებულობების ურთიერთ გამიჯვნის საკითხი და აკმაყოფილებს 508.4 ცხრილის მოთხოვნებს.
- კარის ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად.

6 ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

ავტოსაშხეფი სისტემა:

- თანახმად 903.2.9 ქვეთავისა, საშხეფი სისტემის ვალდებულებისაგან თავისუფალია **სწ-1** ჯგუფის შენობა, რომლის სასაწყობო ჯგუფის დაკავებულობის ფართობი არ აღემატება 1200მ^2 -ს, არ მდებარეობს სამ სართულზე მაღლა, ასევე არ გამოიყენება სავაჭრო სატვირთო მანქანების, ავტბუსების ან რბილი გადაკრული ავეჯის ან მატრასების შესანახად.
- ასევე დაკმაყოფილებულია 903.2.11 ქვეთავის მოთხოვნა, მიწის დონის ზედა სართულები უზრუნველყოფილია შესაბამისი სახის ღიობებით.

სახანძრო მილდგარების სისტემა:

- 905.3.1 ქვეთავის თანახმად III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მეტრით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან. მიუხედავად იმისა რომ დადგენილების შესაბამისად შენობის შენობა არ ჯდება აღნიშნულ პარამეტრში, II კლასის მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია შენობაში.

ხელის ცეცხლმაქრები:

- ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია სწ-1 ჯგუფის დაკავებულობებში, რაც შეესაბამება, 906 ქვეთავის მოთხოვნას.
- ***<u>ხელის ცეცხლმაქრების განთავსების არეალები პირობითად ასახულია ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილში</u>***

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:

- იმის გათვალისწინებით, რომ +0,00 ნიშნულზე განთავსებულია სწ-1 დაკავებულობა სადაც ხდება პროდუქციის თაროებზე განთავსება/შენახვა შენობა აღჭურვილია **კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემით,** სისტემა უნდა გააქტიურდეს კვამლის აღმოჩენისთანავე.

კვამლის საკონტროლო სისტემები:

- შენობა აღჭურვილია მექანიკური განიავების სისტემით.

სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:

- საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლით.
- სახანძრო მისაერთებლები განთავსებულია წინა ეზოში სახანძრო მანქანის მისადგომის მხრიდან და ადვილად დასანახი და ამოსაცნობია, რაც აკმაყოფილებს 912.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაერთებელთან დაცულია 0,8მ.X0.9მ. და 2 მეტრის სიმაღლის თავისუფალი სივრცე, რაც შეესაბამება 912.3.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- ***<u>სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლის განთავსების არეალი პირობითად ასახულია ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილში</u>***

7	გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- იმის გათვალისწინებით, რომ შენობის პირველ მიწისზედა სართულებზე გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანზილის უზრუნველყოფა 23 მ ფარგლებში ვერ მოხერხდა, თანახმად 1021.2(2) ცხრილისა, აუცილებელია სწ-1 ჯგუფის დაკავებულობას ემსახურებოდეს ორი გასასვლელი.
- თითოეული სივრცისთვის დაკმაყოფილებულია 1015.1 ცხრილის მოთხოვნა, თუმცა ვინაიდან 1014,3 ცხრილის შესაბამისად სწ-1 დაკავებულობის გასასვლელისაკენ სავალი საერთო ბილიკი ვერ აკმაყოფილებდა 30 მ მაქსიმალური მანძილის მოთხოვნას აღნიშნული სივრცეებისათვის გათვალისწინებულია ორი გასასვლელის გზა-კარი.
- გზა-კიბის გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 7,6 მმ-ია თითო დამკავებელზე. ასეთი სახით გამოთვლილი კიბის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე.
- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (კარის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი კარის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1008.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.82 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და საპროექტო შენობის მომსახურე თითოეული გასასვლელი საშუალების კარის თავისუფალი სიგანე სულ მცირე 0,84 მეტრია.
- შენობის სახურავზე მიდგომა არ ხორციელდება გზა-კიბის საშუალებით, თანახმად 1009.16 ქვეთავისა რადგან შენობა არ არის ოთხზე მეტ სართულიანი.
- გასასვლელის ყველა კარი იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით, რაც შეესაბამება 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.
- ყველა იმ ფართში სადაც ავეჯი ან შესაბამისი ინვენტარია განთავსებული, გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 1017.3 და 1017.5 ქვეთავების მოთხოვნებს.
- თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასველლის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.
- ***გასასვლელის კომპონენტები და შესაბამისი პირობითი აღნიშვნები ასახულია არქიტექტურულ პროექტში.***

ცხრილი 1016.2

გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილი[ა]

დაკავებულობა	საშხეფი სისტემის გარეშე (მ)	საშხეფი სისტემით (მ)
თვ, სგ, სმ-1, სვ, სც, სწ-1	60	75[ბ]
დწ-1	დაუშვებელია	75[ბ]
სქ	60	90[ბ]
სმ-2, სწ-2, დს	90	120[ბ]
დსშ-1	დაუშვებელია	23[დ]
დსშ -2	დაუშვებელია	30[დ]
დსშ-3	დაუშვებელია	45[დ]
დსშ-4	დაუშვებელია	45[დ]
დსშ-5	დაუშვებელია	53 [დ]
დწ-2, დწ-3, დწ-4	დაუშვებელია	60[ბ]

ა. გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილისადმი მოთხოვნების მოდიფიკაციები იხილეთ შემდეგ ქვეთავებში:

ქვეთავი 402.8: მანძილის შეზღუდვა მოლებში;

ქვეთავი 404.9: მანძილის შეზღუდვა ატრიუმის სივრცში;

ქვეთავი 407.4: მანძილის შეზღუდვა **დწ**-2 ჯგუფში;

ქვეთავი 408.6.1 და 408.8.1: მანძილის შეზღუდვა **დწ**-3 ჯგუფში;

ქვეთავი 411.4: მანძილის შეზღუდვა სპეციალურ გასართობ შენობებში;

ქვეთავი 1015.4: მანძილის შეზღუდვა გამაციებელი მანქანა-დანადგარების ოთახებში;

ქვეთავი 1015.5: მანძილის შეზღუდვა მაცივარ-ოთახებსა და სივრცეებში;

ქვეთავი 1021.2: შენობები ერთი გასასვლელით;

ქვეთავი 1028.7: გამკაცრებული შეზღუდვა თავშეყრის დასაჯდომებიან ფართობზე;

ქვეთავი 1028.7: გამკაცრებული შეზღუდვა თავშეყრის გარედასაჯდომებიან ფართობზე;

ქვეთავი 1803.4: დროებითი ნაგებობები;

ქვეთავი 1804.9: ფეხით მოსიარულეთა სავალი გზები;

ბ. 903.3.1.1 ან 903.3.1.2 ქვეთავების შესაბამისად ავტოსაშხეფი სისტემებით აღჭურვილი შენობები. იხ. ქვეთავი 903-ე დაკავებულობებისთვის, სადაც ნებადართულია 903.3.1.2 ქვეთავის შესაბამისი ავტოსაშხეფი სისტემები;

გ. 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემებით აღჭურვილი შენობები.

8 მისაწვდომობის შეფასება:

- თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია და მთელი საპროექტო შენობა მისაწვდომია.
- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრცეებიდან შენობის ყველა შესასვლელემდე და შენობის ყველა დაკავებულ დონეზე, თანახმად 1104 ქვეთავისა.
- თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკი. თუ მიმოსვლის ბილიკი შიგა სივრცეშია, მისაწვდომი სვლაგეზიც შიგა სივრცეში უნდა იყოს. თუ მისაწვდომი სვლაგეზი მხოლოდ ერთია, ის არ უნდა კვეთდეს სამზარეულოებს, სათავს ოთახებს, დასასვენებელ ოთახებს, საკუჭნაოებსა და მსგავს სივრცეებს. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს.
- საპროექტო შენობის მთავარი შესასვლელი მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- ფართობებს ემსახურება მისაწვდომი ტუალეტის ოთახი, რაც შეესაბამება 1109.2 ქვეთავს.
- შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო განთავსებულია მისაწვდომ ტუალეტებთან, შესაბამისი ამობურცული სიმბოლოებითა და ბრაილის წარწერით, რაც შეესაბამება 1110.1 ქვეთავს.

9 შიგა გარემოს შეფასება:

- ფართობები ნიავდება მექანიკურად და ბუნებრივად ფანჯრებისა და კარების საშუალებით და გარე გასაღები ღიობების ჯამური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში აღემატება გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ს. ასეთი ბუნებრივი განიავების წყარო გადის საზოგადოებრივ სივრცეში და 1206 ქვეთავის შესაბამის ეზოში. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1203.4, 1203.4.1 და 1203.4.3 ქვეთავებს.
- რაც შეეხება ტუალეტის ოთახს, ასეთი სივრცე ნიავდება მექანიკურად, რაც შეესაბამება 1203.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- ფართი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით, რაც შეესაბამება 1205.1 ქვეთავს. შუქგამტარი სუფთა ფართობი არ არის ოთახის იატაკის ფართობის 8%-ზე ნაკლები. ასეთი გარე ღიობები გადის საზოგადოებრივ სივრცეში და 1206 ქვეთავის შესაბამის ეზოში.
- გასასვლელის საავარიო განათება მოწყობილია გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილში. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1205.5 და 1006.1 ქვეთავების მოთხოვნებს.
- ბუნებრივი განიავების და განათების მიზნით მოწყობილი ღიობები გადის ეზოში, რომელიც იმავე საკუთრებაშია, რომელზეც დგას შენობა. ეზოს სიგანე აკმაყოფილებს 1206.2 ქვეთავის მოთხოვნას და აღემატება ამ შემთხვევისთვის სავალდებულო მინიმალურ 3,5 მეტრის მანძილს.
- თითოეული დაკავებული და გამოყენებადი სივრცის ჭერის სიმაღლე არ არის 2,3 მ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.2 ქვეთავს.

10 გარე კედლების შეფასება:

- გარე კედლის ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტი არ სჭირდება რადგან ისინი შესრულდება სენდვიჩ პანელით (ლითონის ქარხნულად შეღებილი ზედაპირით) და გაზობლოკის მასალით (შელესილი და შეღებილი) დამატებით არაა საჭირო მათ შორის 1404.2 ქვეთავის შესაბამისი წყალმედეგი ზღუდის მოწყობა.
- გარე კედლების ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 602 და 705.8.5 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით, რომლის შესაბამისად „ე-ა“ „8-1“ „1-6“ „6-8“ და „ა-გ“ ღერძებში განთავსებული გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 2 საათით, ხოლო „გ-ე“ ღერძებში 0 საათით. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 1403.4 ქვეთავის მოთხოვნას.
- რაც შეეხება გარე კედლის საფრებს, შენობის ფასადები დაცულია სენდვიც პანელის გარე ზედაპირით.
- რაც შეეხება ორთქლშემაკავებლებს, აღნიშნულის მოწყობა სავალდებულოა მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-4 (საზღვაო) კლიმატურ ზონეში. საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება სამი კლიმატური ზონა (1-ლი, მე-3, მე-7) და მხოლოდ ქვეყნის ჩრდილოეთის მაღალ მთიან რეგიონებშია სავალდებულოა შენობა-ნაგებობებში ორთქლშემაკავებლების მოწყობა. საპროექტო შენობაში ორთქლშემაკავებლების მოწყობა არაა სავალდებული, თანახმად 1405.3 ქვეთავისა.
- რაც შეეხება ჰიდროიზოლაციას, იგი მოწყობილია გარე კედლისა და ფანჯრის ანაწყობების, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთის არეალებში, რაც აკმაყოფილებს 1405.4 ქვეთავის მოთხოვნას. ჰიდროიზოლაციის მოწყობის თაობაზე შესაბამისი მითითებები ასახულია არქიტექტურული პროექტში, რაც სავალდებულოდ დასაცავია მშენებლობის პროცესში.
- *გარე კედლის დეტალები ასახულია არქიტექტურულ პროექტში.*

ცხრილი 602

ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით[ა,ე]

ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი = X (მ)	კონსტრუქციის ტიპი	დსშ ჯგუფის დაკავებულობა[ვ]	სმ-1, სვ, სწ-1[ზ] ჯგუფის დაკავებულობა	თვ, სქ, სგ, სმ-2, დწ, სც, სწ-2[ზ], დს[ბ] ჯგუფების დაკავებულობა
X < 1,5[გ]	ყველა	3	2	1
1,5 ≤ X < 3	IA	3	2	1
	სხვა	2	1	1
3 ≤ X < 9	IA, IB	2	1	1[დ]
	IIB, VB	1	0	0
	სხვა	1	1	1[დ]
X ≥ 9	ყველა	0	0	0

ა. მზიდი გარე კედლები 601-ე ცხრილის ცეცხლმედეგობის ხარისხთან დაკავშირებულ მოთხოვნებსაც უნდა აკმაყოფილებდეს;

ბ. **დს** ჯგუფის დაკავებულობებისათვის არსებული სპეციალური მოთხოვნების შესახებ იხილეთ ქვეთავი 406.1.2;

გ. ცეცხლმედეგი კედლისათვის იხილეთ ქვეთავი 705.1.1;

დ. 406-ე ქვეთავის შესაბამის ღია ავტოსადგომ გარაჟებს არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი;

ე. გარე კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხი განისაზღვრება გარე კედელსა და იმ სართულს შორის არსებული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით, სადაც ეს კედელი მდებარეობს;

ვ. **დსშ** ჯგუფის დაკავებულობებისთვის არსებული სპეციალური მოთხოვნების შესახებ იხილეთ ქვეთავი 415.3;

ზ. **სწ** ჯგუფის დაკავებულობებისთვის არსებული სპეციალური მოთხოვნების შესახებ იხილეთ ქვეთავი 412.4.1.

ცხრილი 705.8
გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით

ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი (მეტრებში)	ღიობების დაცვის ხარისხი	დასაშვები ფართობი
0 და მეტი და 1.0-ზე ნაკლები[ბ,გ]	დაუცველი, საშხეფების გარეშე	დაუშვებელია
	დაუცველი, საშხეფებით	დაუშვებელია
	დაცული	დაუშვებელია
1.0 მ და მეტი და 1.5 მ-ზე ნაკლები[დ,ე]	დაუცველი, საშხეფების გარეშე	დაუშვებელია
	დაუცველი, საშხეფებით	15%
	დაცული	15%
1.5 მ და მეტი და 3.0 მ-ზე ნაკლები[ე,ვ]	დაუცველი, საშხეფების გარეშე	10%
	დაუცველი, საშხეფებით	25%
	დაცული	25%
3.0 მ და მეტი და 4.5 მ-ზე ნაკლები[ვ,ზ]	დაუცველი, საშხეფების გარეშე	15%
	დაუცველი, საშხეფებით	45%
	დაცული	45%
4.5 მ და მეტი და 6.0 მ-ზე ნაკლები[ვ,ზ]	დაუცველი, საშხეფების გარეშე	25%
	დაუცველი, საშხეფებით	75%
	დაცული	75%
6.0 მ და მეტი და 7.5 მ-ზე ნაკლები[ვ,ზ]	დაუცველი, საშხეფების გარეშე	45%
	დაუცველი, საშხეფებით	შეუზღუდავია
	დაცული	შეუზღუდავია
7.5 მ და მეტი და 9.0 მ-ზე ნაკლები[ვ,ზ]	დაუცველი, საშხეფების გარეშე	70%
	დაუცველი, საშხეფებით	შეუზღუდავია
	დაცული	შეუზღუდავია
9.0 მ ან მეტი	დაუცველი, საშხეფების გარეშე	შეუზღუდავია
	დაუცველი, საშხეფებით	აუცილებელი არ არის
	დაცული	აუცილებელი არ არის

დაუცველი, საშხეფების გარეშე = დაუცველი ღიობები შენობებში, რომლებიც არაა აღჭურვილი 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისი ავტოსაშხეფი სისტემით.

დაუცველი, საშხეფებით = დაუცველი ღიობები შენობებში, რომლებიც მთლიანადაა აღჭურვილი 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისი ავტოსაშხეფი სისტემით.

დაცული = ღიობები, რომლებიც დაცულია ღიობის დამცავი ანაწყობებით, 706.6.1 ქვეთავის შესაბამისად.

ა. მითითებული მნიშვნელობები წარმოადგენს გარე კედლის ფართობის პროცენტს.

ბ. განსხვავებული სიმაღლეების მქონე შენობების ცეცხლმედეგი კედლების მიმართ არსებული მოთხოვნების შესახებ იხ. ქვეთავი 706.6.1.

გ. ერთსა და იმავე მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობების ცეცხლმედეგი კედლების ღიობებისთვის იხ. ქვეთავი 706.8.

11 სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება:

- ჰიდროიზოლაცია მოწყობილია კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, რაც შეესაბამება 1503.2.1 ქვეთავის მოთხოვნას ჰიდროიზოლაციის მოწყობის თაობაზე. შესაბამისი მითითებები ასახულია არქიტექტურულ პროექტში, რაც სავალდებულოდ დასაცავია მშენებლობის პროცესში.
- სახურავის წყალარინი სისტემა იყენებს 100 მმ დიამეტრის წყალსადენ მილებს, რაც შეესაბამება 1503.4 ქვეთავის მოთხოვნებს.
- სახურავის ბურულის კლასიფიკაცია უნდა განისაზღვროს B კლასის კატეგორიით. B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას.
- ***<u>სახურავის დეტალები ასახულია არქიტექტურულ პროექტში.</u>***

12 წყალსადენი სისტემების შეფასება:

- თითოეული სქესის დამკავებელთა რაოდენობის დასადგენად, დამკავებელთა საერთო რაოდენობა ორზე არის გაყოფილი, მოწყობილობების აუცილებელი რაოდენობის გამოსათვლელად, მოწყობილობების პროპორცია თითოეული მოწყობილობის ტიპისთვის თითოეული სქესის დამკავებელთა რაოდენობას მიესადაგება 1602.1 ცხრილის შესაბამისად. 1602.1 ცხრილის გამოყენებისას მიღებული წილადი რიცხვები კი მომდევნო მთელ რიცხვამდეა დამრგვალებული. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1602.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- სწ-1 ჯგუფის დამკავებელთა რაოდენობა უტოლდება 18 დამკავებელს ხოლო. თანახმად 1602.2 ქვეთავისა დამკავებელთა რაოდენობა გაყოფილია ორზე ფიქსირებული წყალსადენი მოწყობილობების მინიმალური რაოდენობის გამოსათვლელად. წყალსადენი სისტემების რაოდენობა შეესაბამება 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს (სქესის შესაბამისად გაყოფილი ტუალეტებთ სარგებლობა დამკვეთის მოთხოვნით, შესაძლებელია მომიჯნავედ დაპროექტებული სტამბის შენობის ადმინისტრაციულ ნაწილში). საწყობის შენობაში განთავსებულია 1 უნიტაზი, 1 ხელსაბანი, 1 სამომსახურეო ნიჟარა და 1 წყლის დასალევი დისპენსერი.
- ღია ავტოსადგომი არ არის უზრუნველყოფილი ტუალეტის სივრცით, თუმცა აღნიშნული დასაშვებია 1602.3 ქვეთავის გამონაკლისით, ვინაიდან ავტოსადგომს არ ემსახურება მეთვალყურე.
- ტუალეტი უზრუნველყოფილია ნიშნებით, მათ შორის მისაწვდომი ნიშნებით, რაც შეესაბამება 1602.4 ქვეთავის მოთხოვნას.

13 ლიფტის შეფასება:

- შენობაში არ არის გათვალისწინებული ლიფტის მოწყობა.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ქ. თბილისში, ლევან დევდარიანის III შესახვევი N29, #01.81.08.276.606 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ტერიტორიაზე, საწყობის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტი, შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნებთან.

აღნიშნული პროექტის დადებითი შეფასების შემდეგ (22.03.2024წ) საპროექტო დოკუმენტაციაში შევიდა გარკვეული ცვლილება, რომელიც მოიცავს სამხრეთის გარე კედლების სენდვიჩ პანელის კონსტრუქციის ჩანაცვლებას 20სმ სისქის გაზობლოკით, რაც არ აუარესებს უსაფრთხოების წესების მოთხოვნებით განსაზღვრულ პირობებს.

შესაბამისად, არქიტექტურულ პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტები:

ზვიადი პაპუაშვილი

დავით გველესიანი

თარიღი: 20.06.2025

ზვიადი პაპუაშვილი



მობილური: 995593939737

ელ-ფოსტა: pazioni@yahoo.com

ოჯახურიმდგომარეობა: დასაოჯახებელი

დაბადების თარიღი: 1 მარტი, 1974

განათლება

არქიტექტურისა და მშენებლობის ინსტიტუტი, **საქართველო**,
1999 წელი 27ივლისი დაასრულა არქიტექტურის
ფაკულტეტის სრული კურსი, მიენიჭა არქიტექტორის წოდება

სამუშაო გამოცდილება

არქიტექტორი, **შპს"გარდაბანპროექტი"**,ოქტომბერი/2001 - თებ/2001
მოვალეობები: არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა
შეწყვეტის მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, **შპს "ხუროთმოძღვარი"**, იანვარი/2002 - ნოემბერი/2004
მოვალეობები: არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა
შეწყვეტის მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, **შპს "ლატერიტი"**, იანვარი/2005 - ნოემბერი/2007
მოვალეობები: არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა
შეწყვეტის მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, **შპს "ფრიზი"**, დეკემბერი/2007 - სექტემბერი/2009
მოვალეობები: არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა
შეწყვეტის მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, **შპს"გონიო+"**, ოქტომბერი/2009 - დეკემბერი/2010
მოვალეობები: არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა
შეწყვეტის მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, **შპს"არქპროექტმშენი"**, იანვარი/2011-თებერვალი/2012

<u>მოვალეობები:</u> არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა

<u>შეწყვეტის მიზეზი:</u> კერძო საპროექტო ფირმის ჩამოყალიბება

2012 წლის 21 მარტიდან დღემდე ვმუშაობ შპს „პაზიონი“-ს დირექტორის თანამდებობაზე

ასევე ვასრულებ არქიტექტურულ საპროექტო სამუშაოებს

<u>ენების ცოდნა</u>

ქართული (წერა-კითხვა:ძალიან კარგი), რუსული(წერა-კითხვა:კარგი), ინგლისური(წერა-კითხვა:საშუალო)

<u>კომპიუტერული პროგრამები</u>

Microsoft Office Word (კარგი), Microsoft Office Excel (კარგი), ArchiCAD (ძალიან კარგი), Adobe Photoshop(კარგი)

<u>პროექტები და კონცეფციები</u>

2020 წ. - აგვისტო ქალაქი რუსთავი VII მიკრო/რაიონი კორპუსი N 22 მიმდებარე/ტერიტორია დაგეგმარებული მრავალბინიანი საცხ. კომპექსის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - ივლისი ქალაქი რუსთავი თბილისის ქუჩის მიმდებარე/ტერიტორია ტერიტორია დაგეგმარებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - მაისი ქალაქი გურჯაანი ქოროღლიშვილის ქუჩა N 38 დაგეგმარებული ყურძნის მიმღები საამქროს პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - მარტი ქალაქი გურჯაანი ქოროღლიშვილის ქუჩა N 38 დაგეგმარებული ყურძნის მისაღები საამქროს პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - მარტი ქალაქი რუსთავი ლეონიძის ქუჩის მ/ტ დაგეგმარებული სამშენებლო მასალების საწყობი და სავაწრო პავილიონის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - თებერვალი ქალაქი თბილისი ლაზოს ქუჩა N 1ბ დაგეგმარებული ავეჯის საამქროს შენობა-ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - თებერვალი ქალაქი რუსთავი მესხიშვილის ქუჩა N 5 დაგეგმარებული ამბულატორიული კლინიკის შენობა-ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - იანვარი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. მსხალგორი დაგეგმარებული სამაცივრე-სასაწყობე შენობა-ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2019 წ. - სექტემბერი ქალაქი რუსთავი, XIV და XV მიკრო რაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმარებული ცეკვის სტუდიის შენობა- ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2019 წ. - აგვისტო ქალაქი თბილისი, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმარებული ორბინიანი საცხოვრებელი სხლის შენობა- ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2019 წ. - ივლისი ქალაქი რუსთავი, ტაშკენტის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმარებული კომერციული დანიშნულების შენობა- ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2019 წ. - მაისი ქალაქი რუსთავი, ლეონიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაგეგმარებული სამშენებლო მასალების სასაწყობე შენობა-ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2019 წ. - აპრილი ქალაქი რუსთავი, ლომოურის ქუჩა, N6 დაგეგმარებული საბავშვო ბაღის შენობა-ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2019 წ. - აპრილი ქალაქი გარდაბანი, სოფელ თელეთში დაგეგმარებული სასოფლო სამეურნეო პროდუქტების სასაწყობო შენობა-ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2019 წ. - მარტი ქალაქი გარდაბანი, სოფელ თელეთში დაგეგმარებული სასოფლო სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობის (პირუტყვის სადგომი) პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2019 წ. - მარტი ქალაქი რუსთავი, ბალანჩივაძის ქუჩა N9 დაგეგმარებული მრავალფუნქციური ობიექტის შენობა-ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2018 წ. - იანვარი ქ.რუსთავში შემოსასვლელის მ/ტ ავტოტრანსპორტის ტექ. ინსპექტირების ცენტრის შენობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2017 წ. - ნოემბერი მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. საიმერლოში საბავშვო ბაგა-ბაღის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2017 წ. – ივლისი ქალაქ რუსთავში ინდივიდუალური ოთხბინიანი საცხოვრებელი სახლი

2017 წ. – თებერვალი ქალაქ რუსთავში მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბონაკოს ფართის საოფისე ფართის რეკონსტრუქცია

2017 წ. – იანვარი ქალაქ თბილისსი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი AR1470170

2016 წ. – ოქტომბერი ქალაქ რუსთავში შპს „ჯი არ სი“-ს სამეწარმეო ობიექტის რეკონსტრუქცია

2016 წ. – მაისი ქალაქ რუსთავში რუსთაველის ქუჩაზე მრავალფუნქციური კომერციული ობიექტი

2016 წ. – მაისი ქალაქ რუსთავში ლომოურის ქუჩის მიმდებარედ კომერციული ობიექტი

2015 წ. – ივლისი ქალაქ რუსთავში ფალიაშვილის ქუჩაზე ინდ. საცხოვრებელი სახლი

2015 წ. – ივლისი ქალაქ გარდაბანში სოფ. სართიჭალა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი

2015 წ. – ივნისი ქალაქ მცხეთაში სოფ. მისაქციელში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი

2014 წ. – მაისში ქალაქ თბილისში გვქონდა კოვცეფცია მინი სავაჭრო მოლის მოწყობაზე AR1240410

2010 წ. – მაისი ქალაქ რუსთავში მოვამზადეთ წმინდა ბარბარეს სახელობის ბაზილიკის პროექტი ტერიტორიის სრული განაშენიანებით და დეკორაციებით

2004 – 2005 წ.წ. – მონაწილეობა მაქვს მიღებული, ქალაქ ფოთში დრამატული თეატრის საპროექტო წინადადების შესარჩევ კონკურსში გამარჯვებული ნამუშევრის თანაავტორად







GEORGIA

DIPLOMA AA № 0046000

This is to certify that Mr / Ms Zviad Papuashvili S. in 1999 completed a full academic course of the Faculty of Architecture of the Institute of Architecture and Civic Engineering majoring in Architecture

By resolution of the State Examination Board, dated July 27, 1999 Mr / Ms Zviad Papuashvili S. is conferred the present DIPLOMA and the qualification of Architect

Rector
Chairman of the State Examination Board
Dean

City Tbilisi — September 28, 1999

Registration № 0005 — Secretary E. Chkaidze

საქართველო

დიპლომი AA № 0046000

მიეცა ზვიად სამსონის ძე პაპუაშვილს

მასზედ, რომ მან 1999 წელს დაამთავრა არქიტექტურისა და მშენებლობის ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის სრული კურსი

არქიტექტურის

სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის „27" ივლისს გადაწყვეტილებით ზ. ს. პაპუაშვილს მიენიჭა

არქიტექტორის

კვალიფიკაცია.

რექტორი
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე
დეკანი

ქალაქი თბილისი — 28 სექტემბერი, 1999 წ.

სარეგისტრაციო № 0005 — მდივანი ე. ჩხაიძე

ქ. რუსთავი XXI მ/რ 4ა

pazioni@yahoo.com

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2021 - 005

გადაეცემა

ზვიად კაკუაშვილს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

ვაჟა კუხიანიძე, კურსის ხელმძღვანელი

დავით გველესიანი



მობილური: 514 000 468

ელ-ფოსტა: data.gvelesiani@gmail.com

ოჯახურიმდგომარეობა: დაოჯახებული

დაბადების თარიღი: 25 მაისი, 1990

განათლება

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო,
2011 წელი 05 აგვისტო არქიტექტურის ბაკალავრის ხარისხი.
2016 წლის 26 ნოემბერს არქიტექტურის მაგისტრის ხარისხი.

სამუშაო გამოცდილება

არქიტექტორი, შპს"ახალი ტექნოლოგიები 2009", ოქტომბერი/2009 - დეკემბერი/2010
მოვალეობები: არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა
შეწყვეტის მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, შპს "არქმშენი", იანვარი/2011 - მაისი/2015
მოვალეობები: არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა
შეწყვეტის მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, შპს "უტა", იანვარი/2011 - მაისი/2015
მოვალეობები: არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა
შეწყვეტის მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახური
, მაისი/2015- ივნისი/2019
მოვალეობები: არქიტექტურული პროექტების განხილვა-შემოწმება
შეწყვეტის მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, შპს"ჯავა", ივნისი/2019 - მიმდინარე
მოვალეობები: არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა

ენების ცოდნა

ქართული (წერა-კითხვა:ძალიან კარგი),
რუსული (წერა-კითხვა: კარგი),
ინგლისური(წერა -კითხვა: კარგი)

კომპიუტერული პროგრამები

Microsoft Office Word (კარგი), Microsoft Office Excel (კარგი), ArchiCAD (ძალიან კარგი), Adobe Photoshop (კარგი), Autocad (საბაზისო), Lumion (კარგი).

პროექტები და კონცეფციები

2020 წ. - აგვისტო ქალაქი რუსთავი VII მიკრო/რაიონი კორპუსი N 22 მიმდებარე/ტერიტორია დაგეგმარებული მრავალბინიანი საცხ. კომპექსის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - ივლისი ქალაქი რუსთავი თბილისის ქუჩის მიმდებარე/ტერიტორია ტერიტორია დაგეგმარებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - მაისი ქალაქი გურჯაანი ქოროღლიშვილის ქუჩა N 38 დაგეგმარებული ყურძნის მიმღები საამქროს პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - მარტი ქალაქი გურჯაანი ქოროღლიშვილის ქუჩა N 38 დაგეგმარებული ყურძნის მისაღები საამქროს პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - მარტი ქალაქი რუსთავი ლეონიძის ქუჩის მ/ტ დაგეგმარებული სამშენებლო მასალების საწყობი და სავაწრო პავილიონის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - თებერვალი ქალაქი თბილისი ლაზოს ქუჩა N 1ბ დაგეგმარებული ავეჯის საამქროს შენობა-ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - თებერვალი ქალაქი რუსთავი მესხიშვილის ქუჩა N 5 დაგეგმარებული ამბულატორიული კლინიკის შენობა-ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2020 წ. - იანვარი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. მსხალგორი დაგეგმარებული სამაცივრე-სასაწყობე შენობა-ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2019 წ. - სექტემბერი ქალაქი რუსთავი, XIV და XV მიკრო რაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმარებული ცეკვის სტუდიის შენობა- ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

2019 წ. - აგვისტო ქალაქი თბილისი, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმარებული ორბინიანი საცხოვრებელი სხლის შენობა- ნაგებობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასება.





საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის
სახელობის სახელმწიფო
სამხატვრო აკადემია

მაგისტრის დიპლომი

TSAA № 000049

არქიტექტურის
ფაკულტეტის 2016 წლის 28 ნოემბრის № 8
გადაწყვეტილებით დავით გველესიანს მიენიჭა
არქიტექტურის
მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

დეკანი Dean
ნოდარ ამაშუკელი / Nodar Amashukeli

რექტორი Rector
გიორგი გუგუშვილი / George Gugushvili

თბილისი TBILISI
20 / 12 / 2016
რიცხვი/ day თვე/ month წელი/ year

GEORGIA

Legal Entity of Public Law
APOLLON KUTATELADZE
TBILISI STATE
ACADEMY OF ART

MASTER'S DIPLOMA

TSAA № 000049

By Decision № 8 of 28 November 2016 of the Faculty of
Architecture
Davit Gvelesiani
was awarded the Degree of Master of
Architecture.



რეგისტრაციის REGISTRATION № 001 470

data.gvelesiani@gmail.com

სერტიფიკატი

№ 2021 - 004

გადაეცემა

დავით გველესიანს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

ვაჟა კუხიანიძე, კურსის ხელმძღვანელი